



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გლედია



გლედია კასპიური
გლედია (Gleditsia
caspia) ყლორტი

გლედია (Gleditsia), ფოთოლმცვივანი ხეების გვარი ცეზალპინიასებრთა ოჯახისა. გვარში 12 სახეობაა, რ-ებიც გავრცელებულია აზიაში, ჩრდ. და სამხრ. ამერიკაში, ტროპ. აფრიკაში. საქართველოში გ. ბუნებრივად არ იზრდება.

გლედია სამეკალა
გლედია (Gleditsia
triacanthos) ყლორტი
ნაყოფით

ჩვენში ხელოვნურად გავრცელებულია ჩრდ. ამერ. სახეობა - ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი ა ნ უ ს ა მ ე კ ა ლ ა გ. (G. triacanthos), ნაკლებად - კ ა ს პ ი უ რ ი გ. (G. caspia). სამეკალა გ. სწორტანიანი, ფართოდ გადაშლილგარჯიანი ხეა. მისი სიმაღლე 40-45 მ აღწევს. ღერო და ტოტები

დაფარულია მარტივი და დატოტვილი მაგარი ხშირი ეკლებით. აქვს ფრთართული ფოთლები და დამოკლებულ მტევნებად შეკრებილი პატარა, მომწვანო ყვავილები. არის გვალვამძლე, სინათლისა და სითბოს მოყვარული მცენარე. იტანს ნიადაგის სუსტ დამლაშებას. იზრდება სწრაფად. იყენებენ ცოცხალ ღობედ, მინდორსაცავი ტყის ზოლების გასაშენებლად და სხვ. მერქნისაგან აკეთებენ სხვადასხვა ნაკეთობას. თაფლოვანია.